Institute for European Studies

A project implemented by UPMF Consortium

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი 2010 წლის 7 მაისს ატარებს მესამე სტუდენტურ კონფერენციას თემაზე: **"აღმოსავლეთის პარტნიორობის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები".**

სათაური:"აღმოსავლეთის პარტნიორობის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები".
ორგანიზატორი: ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თარიღი: 2010 წლის 7 მაისი
ჩატარების ადგილი: ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 505
ჩატარების დრო: 10:00 - 14:00 საათი
სამუშაო ენა: ქართული და ინგლისური

გთხოვთ, კონფერენციისათვის წარმოდგენილ მასალაში მიუთითოთ:

- მომხსენებლის სახელი, გვარი
- უმაღლესი სასწავლებელი, ფაკულტეტი, კურსი
- დეკანის/ლექტორის რეკომენდაცია
- ტელეფონის ნომერი
- ელ-ფოსტა
- მოხსენების სათაური
- რეზიუმე (მაქსიმუმ 500 სიტყვა, ქართულად ან ინგლისურად), მოხსენების სრული ტექსტი (6-8 გვედი, A4, AcadNusx 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.0)
- მოხსენების ხანგრძლივობა (20-30 წუთი)
- მოხსენებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

გთხოვთ, მოხსენება, წარმოდგენილი ქართულად ან ინგლისურად, გაგზავნოთ როგორც მიბმული დოკუმენტი (დანართი) შემდეგ მისამართზე: director.ces@tsu.ge არაუგვიანეს **2010 წლის 20 აპრილისა**.

კონფერენციაზე წარსადგენ მოხსენებებს შეარჩევს საორგანიზაციო კომიტეტი. პირველი სამი საუკეთესო ნაშრომი დაჯილდოვდება ევროპული კვლევების ინსტიტუტის საგანგებო დიპლომებით.

ავტორებს შედეგების შესახებ ეცნობებათ არა უგვიანეს **2010 წლის 30 აპრილისა.**

სურვილისამებრ, მოხსენებისათვის საჭირო მასალა (სლაიდები, აუდიტორიისათვის დასარიგებელი მასალა და ა.შ.) შეგიძლიათ წარმოადგინოთ ქართულად ან ინგლისურად.

პრეამბულა

საქართველოს საზოგადოება სრულად იზიარებს საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ მიზანს – საქართველოს ინტეგრაციას ევროპასთან. ერთის მხრივ, საქართველოს ისტორიული სწრაფვა ევროპისკენ და მეორეს მხრივ, ინტენსიური თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირმა საქართველოს შესთავაზა და რომელმაც ასახვა ჰპოვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმაში და ამჟამად უკვე აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივაში, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი განვითარების ნათელი გამოხატულებაა.

ევროპული კვლევების ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წლის 9 ივლისს ევროკომისიის პროექტის ფარგლებში. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საქართველოს საზოგადოებაში ევროპის შესახებ ცოდნის გავრცელება; ასევე, ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტებისთვის ყველა იმ პირობის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას და ევროპელ კოლეგებთან ერთად განხორციელებულ კვლევებსა და პროექტებში მის ინტეგრირებას.

კონფერენციის მიზანი

საქართველოს საზოგადოებაში ევროპული ღირებულებების, ნორმების, სახელმწიფო და საჯარო მართვის პრინციპების დამკვიდრება; ევროპის ისტორიის, ინსტიტუტების, ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალური დაცულობის ქსელის და ა.შ. შესახებ ცოდნის გავრცელება.

კონფერენცია ეძღვნება ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივას, რომლის კონკრეტული სამოქმედო გეგმა უნდა დამტკიცდეს 2009 წლის აპრილში. სახელდობრ, მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, შემოქმედებითად გაანალიზონ საქართველოსთვის შექმნილი პერსპექტივები ხელმისაწვდომ მასალაზე დაყრდნობით. წარმოდგენილ მოხსენებებში ასახული უნდა იყოს აღმოსავლეთის პარტნიორობის შემდეგი საკითხები:

- აღმოსავლეთის პარტნიორობით გათვალისწინებული ასოცირებული შეთანხმების მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს პარტნიორ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის "ღრმა და ყოვლისმომცველი" შეთანხმების დადებას, იმდენად, რამდენადაც ეს ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრია;

- აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი პარტნიორი ქვეყნების სტიმულირება, რათა ერთმანეთს შორის შექმნან თავისუფალი ვაჭრობის ქსელები, რომლებსაც ევროკავშირის ვარაუდით, შორეულ პერსპექტივაში, შეიძლება მოჰყვეს პარტნიიორ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამეგობრობის დაფუძნება;
- ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობა (European Energy Community): საქართველოსთვის შესაძლო პერსპექტივა, რომ დამკვირვებლის მიმდინარე სტატუსიდან გადავიდეს სრულ წევრობამდე; ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის როლი ევროკავშირის ენერგიით მომარაგების გზების დივერსიფიკაციაში და ორმხრივ ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის ორმხრივი ინიციატივები: სავიზო გადასახადების გაუქმება, სავიზო მოთხოვნების გაუქმება, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის მხარდაჭერა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივი ინიციატივები: საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ტექნიკური და ფინანსური ხელშეწყობა, სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის სამომავლო გეგმების შემუშავება, ელექტროენერგიის რეგიონალური ბაზრების სრულყოფა, ადამიანის ქმედებით გამოწვეული კატაკლიზმების პრევენცია და სტიქიური უბედურებებისა და ადამიანის ქმედებით გამოწვეული კატაკლიზმებისადმი მომზადება.

აღმოსავლეთის პარტნიორობის საკითხებთან ერთად მონაწილეებს, ასევე, შეუძლიათ, გაითვალისწინონ ევროკავშირის განვითარების თანამედროვე პერსპექტივები: ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა საქართველოსთვის, ევროკავშირის გაფართოება, ევროკავშირის კონსტიტუცია, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

კონფერენციაზე იქნება დისკუსია საქართველო-ევროპის/ევროკავშირის ურთიერთობის პერსპექტივებზე.

ევროპული კვლევების ინსტიტუტი